

# როგორ თეთრდება შავი ფული საქართველოს კაზინოებში, კვირად ღირებული საქონლის პატარა ბუტიკებსა და პრივატიზაციისას

ჟურნალი “თბილისელები” – 14-20 ივლისი, № 29, 2008

დასავლელი პარტნიორების დახმარებითა და რეკომენდაციით ჩვენს ქვეყანაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე შეიქმნა, თუმცა საზოგადოება რამე განსაკუთრებით სკანდალურ საქმეს, რომელიც უკანონო გზით ნაშოფნი ფულის რეცხვასთან იქნებოდა დაკავშირებული, არ შეუშფოთებია. მეორე მხრივ, ფულის გათეთრებისთვის ნოყიერი ადგილი, სწორედაც რომ, განვითარებადი ქვეყნებია, რომელთა რიცხვს, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანაც მიეკუთვნება. როგორ ირეცხება შავი ფული საქართველოში და როგორ უნდა გამოვარჩიოთ ფულის მრეცხავები ზნეკეთილი ბიზნესმენებისგან, ამ საკითხებზე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ პაპაშვილი გვესაუბრება.

– ფულის გათეთრების რა საშუალებები არსებობს ისეთი ქვეყანაში, როგორც საქართველო?

– დავიწყოთ იმით, რომ ფულის გათეთრების ძალიან ბევრი მექანიზმი არსებობს: არის ისეთები, რომლებიც ძალიან კარგად მოქმედებს განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოშიც გამოიყენება და არსებობს სპეციფიკური მექანიზმებიც, რომლებიც მხოლოდ ისეთი ტიპის ქვეყნებში გამოიყენება, როგორც საქართველო. უწინარეს ყოვლისა, ფულის გათეთრებისთვის ძალიან კარგი საშუალებაა სხვადასხვა ოფშორული ზონები, რადგან იქ, როგორც წესი, ფულის წარმომავლობა არ ფიქსირდება: კმნი ფირმას, არც კი ჩანს, ვინ არის მისი დამფუძნებელი და იმ ფირმით შედიხარ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის იქაც, საიდანაც ხარ წარმოშობით.

**– როდის გაჩნდა მსოფლიოში ოფშერული ზონების პრაქტიკა?**

– მოგეხსენებათ, ოფშერული ზონა არის სპეციალურად შექმნილი ეკონომიკური სივრცე, სადაც ძალიან გამარტივებულია სხვადასხვა ტიპის ბიზნესის რეგისტრაცია, არის გარანტია, რომ არავინ გკითხავს ფულის წარმომავლობას და დახურულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ არის ამ ბიზნესის შემქმნელი. ოფშერული ზონა არის თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთგვარი მოდიფიკაცია, თუმცა შემდეგ ის ჩამოყალიბდა, როგორც კონკრეტულად ფინანსური კაპიტალის მოზიდვის საშუალება. ოფშერულ ზონებში ფულის გათეთრებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები: უარყოფითი მხარე არის ის, რომ ეს ფული არაკანონიერად არის ნაშოვნნი, რადგან ხშირად დაკავშირებულია იარაღით, ადამიანებით თუ ნარკოტიკებით ვაჭრობასთან, აგრეთვე, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს გადასახადების გადახდის თავიდან აცილებასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ქმედება უნდა დაისჯოს, მაგრამ ისიცაა, რომ ფულის ამ გზით გათეთრებას აქვს თავისი პლუსიც, კერძოდ, თუ ვერ მოხერხდა ასეთი პირის დასჯა, მაშინ ისევე ჯობია, რომ ასეთი ფულის რაღაც ნაწილი მაინც გათეთრდეს და რაღაც შემოსავალიც მისცეს ამა თუ იმ სახელმწიფოს. ოფშერულ ზონებში ფულის გათეთრების მექანიზმი ძალიან მარტივია: ვთქვათ, ვიღაცას აქვს არალეგალური შემოსავალი არალეგალური ბიზნესიდან ან საკმაოდ ლეგალური ბიზნესიდან, მაგრამ უნდა გადასახადების დამალვა, ის ამ თანხებს თავს მოუყრის სხვადასხვა ოფშერულ ზონებში, სადაც არ ფიქსირდება არც ფულის წარმოშობა, არც მფლობელის ვინაობა, ფირმა შედის სხვადასხვა ქვეყანაში და იწყებს ბიზნესს.

**– ბიზნესს იწყებს ბიზნესისთვის თუ დანარჩენი შავი ფულის გასათეთრებლად?**

– ორივე მიზნით. ჩვენ ვიცით, რაც მოუვიდა აწ განსვენებულ ბადრი პატარკაციშვილს, რომლის ოჯახიც ჩვენ თვალწინ კარგავს თავის ბიზნესს, სწორედ იმიტომ რომ ბადრი პატარკაციშვილის ფირმები შექმნილი იყო

ოფშერულ ზონებში, ამიტომაც არ ჩანს ფულის წარმომავლობა და, ამდენად, არც ამ ბიზნესის მფლობელი.

– ანუ ვერ ამტკიცებს ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი, რომ ის ბიზნესები სწორედ ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნოდა?

– მე არ ვიცი, როგორ დასრულდება სასამართლო პროცესები, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ გამოჩნდნენ ისეთ პირები, რომლებიც აქამდე არ ჩანდნენ და მათ გამოთქვეს პრეტენზია ბადრი პატარკაციშვილის ზოგიერთ ბიზნესზე.

ისევ ფულის გათეთრებას რომ დავუბრუნდეთ: ფულის რეცხვისთვის, გარდა ოფშერული ზონებისა, სხვა მექანიზმებიც შეიძლება, იყოს გამოყენებული: მაგალითად, ამისთვის ძალიან კარგი საშუალებაა კაზინო, განსაკუთრებით, ჩვენნაირი ტიპის ქვეყნებში. ერთი პერიოდის განმავლობაში, გახსოვთ, მთელი თბილისი კაზინოებით იყო გავსებული და ჩვენი მეზობელი სახელმწიფოებიდან ჩამოდოდნენ ადამიანები, ჩამოჰქონდათ თანხა, რომლის ნაწილის დათმობის საფასურადაც დანარჩენი თანხა უკან მიჰქონდათ, როგორც თითქოს თბილისის კაზინოებში მოგებული თანხა. საერთოდ, კაზინო და სხვადასხვა სათამაშო ბიზნესი ფულის გათეთრების ბრწყინვალე საშუალებებია, ისინი გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც. ამას გარდა, მთელ მსოფლიოში ფულის გარეცხვის ძალიან კარგი მექანიზმია ძვირად ღირებული საქონლით მოვაჭრე მცირე ზომის ბუტიკები, რომლებშიც, როგორც წესი, გამყიდველი ბევრია, მყიდველი თითქმის არ არის და ფასები არაადეკვატურია, უფრო მეტიც, ისეთი ფასებია, რომ არაფერი არ იყიდო, რაც იმ წუთასვე აჩენს აზრს, რომ ეს არ არის სავაჭრო ობიექტი. მესმის, რომ სავაჭრო ობიექტები გათვლილია სხვადასხვა ფენის მყიდველზე, მაგრამ, როგორ შეიძლება, რომ არცთუ ისე მდიდარ ქვეყანაში იყოს ბუტიკები, რომლებშიც არავინ შედის? თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი ბუტიკები განვითარებულ ქვეყნებშიც არის. როგორც წესი, ასეთი ბუტიკების მესაკურეს აქვს სხვა ბიზნესი: ან არალეგალური, ან ნახევრად ლეგალური და სჭირდება ამ ბიზნესის გათეთრება, ამიტომაც ის ქმნის ასეთ სავაჭრო ობიექტს და მისი მიზანია, რომ არაფერი არ გაიყიდოს, რა თქმა

უნდა, რეულურად, თორემ დოკუმენტურად გაფორმდება, რომ იქ ვაჭრობა იყო და ბიჯუტშიც გადაიხდის გადასახადებს. ანუ იმ თანხას, რომელსაც მოიპოვებს არალეგალური გზით აპრავებს ლეგალურად.

**– თუ არსებობს ფულის გათეთრების სპეციფიკური, საქართველოსთვის დამახასიათებელი მექანიზმები?**

– ვარდების რევოლუციამდეც და შემდეგაც საქართველოში დაინერგა ასეთი პრაქტიკა: ჩვენი თანამდებობის პირები, მარტო ან უცხოელ პარტნიორებთან ერთად, სხვადასხვა ოფშორულ ზონებში (და არა მარტო) ქმნიდნენ და ქმნიან რაღაც ფირმებს, შემდეგ შემოდიან ქვეყანაში, და როგორც უცხოელი ბიზნესმენები იწყებენ რაღაც ბიზნესს. სხვათა შორის, ფირმა შეიძლება, არც იყოს რეგისტრირებული ოფშერულ ზონაში, მაგრამ მაინც არავინ იცოდეს მისი წარმომავლობა. მოვიყვან ასეთ მაგლითს: იცით, ვინ არის ენერგო-პრო?

**– რამდენადაც მე ვიცი, ეს არავინ იცის.**

– ვიცით, რომ ჩეხეთშია შექმნილი, მაგრამ ეს არის კომპანია, რომელიც არც არსებობდა და მაშინ, როდესაც განაცხადი გააკეთა, რომ სამას მილიონზე მეტს გადაიხდიდა საქართველოში ენერგეტიკული ობიექტების შექმნაში, თავისი ვებ-გვერდიც არ ჰქონდათ, რომლის შექმნაც რამდენიმე ათასი ჯდება. პირველი ინფორმაცია ენერგო-პროს შესახებ იყო ის, რომ ეს არის კომპანია, რომელიც ფლობს ენერგეტიკულ ობიექტებს საქართველოში. გინდა თუ არა, დაგებადება ეჭვი, რომ ენერგო-პრო ფულის გათეთრების მიზნით ვილაცეების მიერ შექმნილი კომპანიაა. იცით, ვინ იყიდა თბილისის წყალი? არის რომელიღაც შვეიცარიული კომპანია, მაგრამ ეს არ არის რომელიმე ცნობილი ფირმა, რომელიც შვეიცარიაში მუშაობს წყლის ან საკვები პროდუქტების ბიზნესში. იცით, ვინ იყიდა კრწანისის რეზიდენცია? უფრო მეტიც, ბოლო წლებში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზაციამდე ორი-სამი დღით ადრე რეგისტრირდება რაღაც ფირმა, რომელიც უცებ ხდება გამარჯვებული. ჩვენთან პრივატიზაციის ისეთი სქემებიც გამოიყენეს, როდესაც სატენდერო კონვერტების გახსნისას ერთ-ერთ კონვერტში ეწერა, ვიხდი 50 000-ით მეტს იმაზე, ვინც ყველაზე მაღალ ფასს

დაასახელებსო. ეს კატასტროფაა, მაგრამ ასეთი ფირმები იმარჯვებენ და არავინ იცის, რა ფულია და ვინ დგას ამ ფულის უკან. ამას გარდა, ჩვენთან არის ასეთი ტენდენციაც: ხდება შვილობილი კომპანიების დაფუძნება მესამე ქვეყნებში, ხშირად ოფშორულ ზონებში, ისინი შემოდინან საქართველოში, ჰქვიათ ძალიან შთამბეჭდავი სახელი და ვერ გაიგებ თუ ვინ დგას მათ უკან.

– წყალი და ენერგეტიკა სტრატეგიული დარგებია, თუ არ არის ცნობილი ამ ფირმების მესაკუთრის ვინაობა, ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ფირმა არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს?

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი კონტრაქტია გაფორმებული სახელმწიფოსა და ამ ფირმას შორის. სწორედ ის არის სერიოზული პრობლემა, რომ სახელმწიფო არ უნდა დადგეს ხელშეკრულებას ასეთ საექვო კომპანიებთან, მიუხედავად იმისა, ობიექტი სტრატეგიულია თუ არა. მაგალითად, კრწანისის რეზიდენცია არ არის სტრატეგიული ობიექტი, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის მისი მფლობელი? თქვეს, რომ შვეიცარიული კომპანიაა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის დაფუძნებულია რუსი მილიონერების მიერ, ანუ ვინ შემოვიდა: რუსული თუ შვეიცარიული კაპიტალი? ერთი მხრივ, თითქოს ამას არ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ, მეორე მხრივ, რატომ არ აქვს მნიშვნელობა? ასე რომ, ფულის გარეცხვის სხვადასხვა მექანიზმები არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩვენი ტიპის ქვეყანაში უფრო უტიფრად კეთდება. რაც შეეხება პასუხისმგებლობას: უპირველესად უნდა დადგეს პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი მთავრობის იმ წევრთა მიმართ, რომლებიც ასეთ არატრანსფარანტულ პოლიტიკას ატარებენ და საექვო წარმომავლობის ფირმებთან აფორმებენ ხელშეკრულებებს. მაგრამ, ვინ უდა დააყენოს ეს საკითხი? ვისაც აქვს მთავრობის კონტროლის ფუნქცია, ანუ პარლამენტმა, მაგრამ მსგავსი რამ არასდროს მომხდარა და, მერწმუნეთ, უახლოეს ხანში, არც მოხდება.

– საქართველოში შემოვიდნენ მსოფლიოში ცნობილი სასტუმროების ბრენდები. ესეც ფულის გათეთრებასთან ხომ არ არის დაკავშირებული? არ მგონია, საქართველოში იმდენი მდიდარი ტურისტის ჩამოვიდეს, რომ ამდენი სასტუმრო აითვისოს.

– ვინ იყიდა ყოფილი “იმელის” შენობა? ყველას გვეგონა, რომ იყიდა კემპინსკიმ, მსოფლიოში ცნობილმა ფირმამ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შენობის მფლობელია კაპიტალ ვოსტოკი და ესეც სრულიად შემთხვევით გავიგეთ, როდესაც თაბუკაშვილის 50 ნომერში ბარბაროსულად დაანგრიეს ახლად აშენებული კორპუსი. ვინ არის “კაპიტალ ვოსტოკი”? სახელწოდებით გვიჩნდება ეჭვი, რომ ეს რუსული კომპანია უნდა იყოს, რომელიც კემპინსკის აბრის ქვეშ მოქმედებს, რეალურად კი, კემპინსკი არის სასტუმროს ოპერატორი. მყიდველმა, ანუ კაპიტალ ვოსტოკმა, მასთან, როგორც ოპერატორთან, გააფორმა ხელშეკრულება. თუ ეს ასეა კემპინსკისთან დაკავშირებით, ხომ შეიძლება, მსგავსი რამ ხდებოდეს რადისონთან, ჰაიათთან, თუ ჰილტონთან მიმართებაშიც? ვინ დგას მათ უკან? ამბობენ, რომ იუსტიციის სამინისტროს შენობა შეიძინა ჰილტონმა, მართლაც ჰილტონია მფლობელი, თუ ის მხოლოდ სასტუმროს ოპერატორია, როგორც კემპინსკი “იმელის” შემთხვევაში? მთავრობა იყენებს ცნობილ ბრენდებს ფიარისთვის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცით, ვინ დგას ამ ბრენდების უკან. ცნობილი ბრენდები უფროსილდებიან თავიანთ პრესტიჟს, მიუხედავად იმისა, რომელ ქვეყანაში არიან, მაგრამ მე არ ვიცი, რა პრესტიჟი აქვს, მაგალითად, “კაპიტალ ვოსტოკს”.

**ნინო ხაჩიძე**